

სამშენებლო ტექნიკური ექსპერტიზა №122

(შემოსაზული)

ტესტი 1

ტექნიკური დიაგნოსტიკა აუცილებელია

- ა) კონსტრუქციების და ნაგებობების წარმოებისას
- ბ) კონსტრუქციების რემონტისას
- გ) ექსპლუატაციის დროს
- დ) ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში

ტესტი 2

კატასტროფა არის

- ა) ავარია
- ბ) რღვევა
- გ) კონსტრუქციის ელემენტების მწყობრიდან გამოსვლა
- დ) დანგრევა, მოვლენა ტრაგიკული შედეგებით

ტესტი 3

დიაგნოსტიკა ნიშნავს

- ა) აღმოჩენას
- ბ) დანახვას
- გ) შეხებას
- დ) შეგრძნებას

ტესტი 4

დეფექტოსკოპი არის

- ა) მოწყობილობა გასაზომად
- ბ) მოწყობილობა დეფექტების აღმოსაჩენად
- გ) მოძრაობის აღმწერი მოწყობილობა
- დ) დიაგნოსტიკის მეთოდი

ტესტი 5

რღვევის მექანიკა შეისწავლის

- ა) ბზარის გავრცელების კანონზომიერებას
- ბ) დიაგნოსტიკის მეთოდებს
- გ) დიაგნოზის დასმას
- დ) დეფორმაციებს

ტესტი 6

რა არის ტექნიკური დიაგნოსტიკა

- ა) მეცნიერება დეფექტების აღმოჩენის მეთოდებზე
- ბ) მეცნიერება დიაგნოზის დასმაზე კონსტრუქციის მუშაუნარიანობის შესახებ
- გ) მეცნიერება ავარიის შესახებ
- დ) მეცნიერება დეფექტების აღმოჩენის მეთოდებსა და დიაგნოზის დასმაზე კონსტრუქციის მდგომარეობის შესახებ

ტესტი 7

არამრღვევი კონსტროლის მეთოდები არის

- ა) მეთოდები, რომლებიც კონსტრუქციას დამატებით დაზიანებას მიაყენებენ
- ბ) მეთოდები რომლებიც კონსტრუქციას ნაწილობრივ დააზიანებენ
 - გ) მეთოდები რომლებიც კონსტრუქციას დამატებით დაზიანებას არ მიაყენებენ

ტესტი 8

ავარია არის

- ა) უეცარი ნგრევა
- ბ) ნაწილობრივი ნგრევა
 - გ) კონსტრუქციის რომელიმე ელემენტის დაზიანება
- დ) მთლიანი კონსტრუქციის რღვევა

ტესტი 9

ულტრაბგერითი კონტროლი დაფუძნებულია

- ა) სინათლის სხივის გავრცელებაზე
- ბ) ელექტრო და მაგნიტური ტალღების გავრცელებაზე
- გ) მექანიკური ტალღების გავრცელებაზე
- დ) γ -გამოსხივებაზე

ტესტი 10

დეფექტი შეიძლება იყოს

- ა) ბზარი
- ბ) ნიჟარა
- გ) კვეთის შემცირება
- დ) ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ერთად

ტესტი 11

ძაბვის კონცენტრაცია არ არის მოსალოდნელი

- ა) თავისუფალ ზედაპირზე
- ბ) ბზარის წვეროზე
- გ) ხვრელების ზედაპირზე
- დ) მახვილ კუთხეში

ტესტი 12

ბზარის სიგრძე შეიძლება იყოს

- ა) რამდენიმე ანგსტრემიდან რამდენიმე მეტრამდე
- ბ) რამდენიმე სანტიმეტრი
- გ) რამდენიმე მეტრი
- დ) რამდენიმე დეციმეტრი